საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030609853201019

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/3950** **24 / ოქტომბერი / 2019 წ.**

შპს „ კლინტექ"-ის დირექტორს
ბატონ ვ. ქელიძეს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილულ იქნა განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტები საქართველოში, თქვენი კომპანიის მიერ წარმოებულიი სადეზინფექციო საშუალება „ზომა ულტრა"-ს რეგისტრაციის შესახებ: 1.ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ. 2.მწარმოებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები.3.დასკვნა საშუალებების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება „ზომა ულტრა"-ს მადეზინფიცირებელი ეფექტი E. hirae ATCC 10541, S. aureus ATCC 25923, და P.aeruginosa ATCC 27853 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს მიკრობების გაუვნებლობა და შესაძლებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

**გამოყენების მეთოდი**

„ზომა ულტრა" წარმოადგენს გამოსაყენებლად მზა, უფერო, სპეციფიკური სუნის მქონე სითხეს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროფესიული გამოყენებისთვის ხელების ჰიგიენური გაუვნებლობისა და მცირე ზომის ჰიგიენური დანიშნულების მქონე ზედაპირების ექსპრეს-დეზინფექციისათვის.

| რეკომენდაცია | ზემოქმედების დრო |
|---|---|
| ხელების ჰიგიენური დეზინფექცია | 3 მლ დაიტანეთ და დაისველეთ ხელი საჭირო რაოდენობით, შეიზილეთ ხელებსა და მაჯებზე მინიმუმ 15-45 წამის განმავლობაში |
| ქირურგის ხელების გაუვნებელყოფა/დეზინფექცია | დაიტანეთ 5-10მლ ხსნარი ხელებზე, შეიზილეთ ხელებსა და მაჯებზე მინიმუმ 60 წამის განმავლობაში |

მცირე ზომის ჰიგიენური დანიშნულების მქონე ზედაპირების ექსპრეს-დეზინფექცია ტარდება მწარმოებლის მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**უსაფრთხოების წესები**

„ზომა ულტრა" გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ; საშუალების გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ, ხსნარი აალებადია და საჭიროა დაიცვას უსაფრთხოების წესები. დაუშვებელია თამბაქოს გამოყენება და საკვების მიღება პროდუქტის გამოყენების დროს. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს.

**შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები**

შპს „ კლინტექ“, რუსთავის გზატკეცილი 68 ა, თბილისი, საქართველო.
ტელ:+995 595222787;

**ჰიგიენური დასკვნა**

„ზომა ულტრა“ წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია კანის ანტისეპტიკური და ჰიგიენური დამუშავების, მცირე ზომის ჰიგიენური დანიშნულების მქონე ზედაპირების ექსპრეს-დეზინფექციისათვის, მწარმოებლის მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად სამედიცინო-პროფილაქტიკურ, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე დაწესებულებებში მწარმოებლის მიერ მოწოდებული გამოყენების მეთოდოლოგიის სრული დაცვით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე                    ირმა ხონელიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად